

ტენდერი ბრენდინგ კომპანიის/ბრენდინგზე მომუშავე ინდივიდის შესარჩევად

სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით, ევროპის ფონდი იწვევს კვალიფიციურ ბრენდინგ კომპანიებს ან ბრენდინგზე მომუშავე ინდივიდებს ფონდის ახალი ბრენდის ვიზუალური სტილის შესაქმნელად. ახალი ვიზუალური სტილი მნიშვნელოვნად არ უნდა განსხვავდებოდეს არსებულისგან, რათა გაადვილდეს ფონდის მრავალწლიან საქმიანობასთან კავშირი.

ევროპის ფონდის შესახებ

ევროპის ფონდის მისიაა, პრაქტიკული პროგრამების განხორციელებით, საშუალება მისცეს მოქალაქეებს, თავიანთი წვლილი შეიტანონ სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებასა და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდაში, რათა გაუმჯობესდეს მათი და მათ გარშემომყოფთა ცხოვრება. მიზნობრივი პროგრამების მხარდაჭერის და საგრანტო კონკურსების გზით, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებში მოქალაქეთა აქტიურ თანამონაწილეობას უზრუნველყოფს, რაც ადგილობრივ, რეგიონულ თუ ეროვნულ დონეზე პოზიტიურ ცვლილებებს უწყობს ხელს. ფონდი 2008 წლის თებერვალში დაფუძნდა როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, **ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის** სახელით. ფონდის მანდატები და მიდგომები მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორცაა: სამოქალაქო მონიტორინგი, კორპორატიული და საზოგადოებრივი ფილანტროპია, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირება და საჯარო პოლიტიკის შემუშავება, საზღვრისპირა და თემთაშორისი თანამშრომლობა, გენდერის ინტეგრაცია პროგრამებში, ახალგაზრდების ინტეგრაცია, სექტორებს შორის თანამშრომლობა და ღია კარი. მანდატებისა და მიდგომების ფარგლებში, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი შემდეგ პროგრამებს ახორციელებს: თანამონაწილეობა და მონიტორინგი ცვლილებებისთვის, ახალგაზრდული ინტეგრაცია, ევროპული ინტეგრაცია, სოციალური მეწარმეობის განვითარება და ღია კარის საგრანტო პროგრამა.

ფონდმა 2015 წლის 18 დეკემბერს ოფიციალურად სახელი შეიცვალა და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ნაცვლად, ევროპის ფონდის სახელით განაგრძობს საქმიანობას.

ტენდერის მიზანი:

სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით ბრენდის ახალი ვიზუალური სტილის / საფირმო სტილის შექმნა.

ტენდერის ამოცანები:

ტენდერში გამარჯვებულმა უნდა შეასრულოს შემდეგი:

1. ლოგოს დამუშავება (არსებულის მცირედი ცლილება)
2. კორპორაციული სტილი და შრიფტების შექმნა
3. ბრენდ ბუქის შექმნა
4. საკომუნიკაციო მასალების დიზაინის შემუშავება

შეჩეულმა კანდიდატმა სამუშაო 1 თვის ვადაში უნდა დაასრულოს.

ვის შეუძლია განაცხადების წარმოდგენა:

განაცხადების წარმოდგენა შეუძლიათ როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებს.

აპლიკაციის წარდგენის პროცედურები:

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია კომპანიის შესახებ და აგრეთვე იმ პირების რეზუმეები, რომლებიც უშუალოდ ჩართულები იქნებიან სამუშაო პროცესში. აპლიკაცია აგრეთვე უნდა შეიცვდეს ბიუჯეტს და უკვე შესრულებული საქმიანობის პორტფოლიოს.

აპლიკაციები მოგვაწოდეთ ელექტრონულად 22 იანვრამდე, შემდეგ მისამართზე nsutidze@epfound.ge. გთხოვთ მიუთითეთ EPF branding სათაურში.

საკონტაქტო ინფორმაცია

ევროპის ფონდი, კავსადის ქ. #3, 0179, თბილისი, საქართველო
ტელ/ფაქსი: (995 32) 225-3942/43; 225-2782.

საკონტაქტო პირი: **ნინო სუთიძე**, პროგრამის კოორდინატორი